137/1946 /2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

1946 მარტი N 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბავშვო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

№ 3
მარტი
1946
წელიწადი მეთექვსმეტე

ოქტომბრელი

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
„Октомбрели" ежемесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

გამომცემლობა
„კომუნისტი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

შინაარსი

ი. გრიშაშვილი—ფერხული (ლექსი) ნახ. ნ. იანქოშვილისა . . . . . 1 გვ.
ა. ლომიძე—პატარა მებადური (მოთხრობა) . . . . . 2 „
„მიხვედრილი" პატარა თამარი (მოთხრობა) . . . . . 3 „
ე. ჩაკალიდი—ოთარი და ბაჭია (მოთხრობა) . . . . . 4 „
ვ. ოსეევა—სამახსოვრო სიტყვა (მოთხრობა) . . . . . 4 „
ო. ჭელიძე—თქმულება ფრთიან ყვავილებზე (ლექსი)—ნახ. რ. სტურუასი . . 5 „
ლ. ტოლსტოი—იგავები (თარგმანი ნ. აგიაშვილისა)—ნახ. კ. ჭანკვეტაძისა . . 6 „
გ. შატბერაშვილი—ია (ლექსი) . . . . . 7 „
ნ. ფარქოსაძე—პაწია ყვავილი (ლექსი) . . . . . 7 „
კუდების ამბავი (რუსული ზღაპარი, თარგმანი შ. გვინჩიძისა)—ნახ. ო. მამაის . 8 „
გ. კაჭახიძე—დედა (ლექსი) . . . . . 10 „
პ. ჭანიშვილი—მოხერხებული ყმა (ამბავი)—ნახ. გ. ფოცხიშვილისა . . . . . 11 „
მ. ლებანიძე—რეზო-ბიჭი (ლექსი)—ნახ. რ. სტურუასი . . . . . 12 „
ი. სიხარულიძე—ინდაურო, ფაფხურა (ლექსი)—ნახ. ნ. იანქოშვილისა . . . . 13 „
საბუმარო კითხვა . . . . . 13 „
ბ. ქართველიშვილი დაკვირვება ცხოველებზე (წერილი)—ნახ. ი. დივნოგორცევასი 14 „
ი. ხოშტარია—ზურაბი (ლექსი) . . . . . 15 „
გ. ლალიძე—მამაცი კრუხი (მოთხრობა) . . . . . 15 „
რ. საგითი—წყაროს დაბადება (წერილი) . . . . . 16 „
ინგლისური ხალხური სიმღერა . . . . . 16 „
რებუსი (შედგ. ა. ფრუიძის მიერ) . . . . . 16 „
ვანოს თავგადასავალი—(ლექსი)—ნახ. დონისა . . . . . გარეკ. მე-3 „
გამოცანები . . . . . გარეკ. მე-3 „

ყდაზე: „გაზაფხული"—ნახატი შესრულებულია ლადო გუდიაშვილის მიერ

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ./მგ. რედაქტორი), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფერხული

გაზაფხული მოვიდა
ახალი და ფერადი,
შარშან ამ დროს ვიმარჯვეთ,—
დაილოცოს ბელადი!

მან სიცოცხლე გვაჩუქა,
ხმა ჩაუდგა მეომრებს...
ქვთო, შენ პირველი თქვი,
მე დავიწყებ მეორეს.

ახლა ნუ კი მოჰყვები
შენებურად გნიასსა,*)
ხელი მაგრად ჩასჭიდე,
დაეტოლე გიასა.

ოთახი დავამშვენოთ
ვარდის ღარადელათი**)...
შარშან ამ დროს ვიმარჯვეთ,—
დაილოცოს ბელადი!

ი. გრიმაშვილი

ნახატი **ნ. იანქოშვილისა**

*) გნიასი—ხმაური.
**) ღარადელა—ყვავილების წნული, გირლიანდი.

4183

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა მებადური

მოთხრობა

ღამეა. ზღვაური ხმაურობს ბუხრის მილში.

ზღვის პირას დგას ომში წასულ მიხა ჯანელიძის პატარა, ფიცრული სახლი. შიგ ბუხარი ტკბილად ღუღუნებს. ბუხართან საუბრობენ მიხას მეუღლე და მისი ორი შვილი: ათი წლის ერეკლე და შვიდი წლის ვანო.

— დედილო, დედილო, მამა ჩქარა მოვა?—ეკითხება ვანო.

— ჩქარა, შვილო.

— ორდენს ჩამომიტანს?

ერეკლემ გაიცინა.

— შე სულელო, ორდენი რისთვის უნდა ჩამოგიტანოს?

ვანო აიმრიზა.

— სულელი შენ ხარ. მამა დიდია, ორდენი პატარაა, მე დამშვენდება.

ერეკლემ ყურადღება არ მიაქცია ვანოს შესიტყვებას, დედას მიუბრუნდა.

— კარგად რომ ვმეცადინობ, მამას გაეხარდება ხომ? სულ ფრიადები მაქვს.

— შუბლზე გაკოცებს, კარგი ბიჭი მყავსო, იამაყებს.

— მეთევზეები მამას ელოდებიან, იმისთანა მარჯვე კაცი ჩვენ არა გვყავსო.

— სად ნახე, შვილო, მეთევზეები?

— სასწავლებლიდან რომ მოვდიოდი,—იცრუა ერეკლემ.

სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებოდა, ისადილებდა და მეთევზეებისაკენ გაიპარებოდა, თევზის ჭერაში, ბადეების გაკემსვაში ეხმარებოდა. ამისათვის ფულს აძლევდნენ. ამ ფულით ერეკლე პაპიროსს ყიდულობდა და სახლის ქვეშ მამისათვის ინახავდა.

ერთ დღეს ერეკლემ დაინახა: სახლის ქვეშ საუბრობდნენ ვანო და მისი ამხანაგები. „ჩემს პაპიროსს ხომ არ მიაგნესო“,—გაიფიქრა, თავი დახარა და ძმისაკენ გაემართა. ვანო პაპიროსს თავმომწონედ აბოლებდა და თავის ამხანაგებს ეუბნებოდა:

— მე თქვენ გიბრძანებთ, ახლავე მომგვაროთ ფაშისტები!

— ახლავე, გენერალო!—იყო პასუხი.

ერეკლე აენთო. „დახე, როგორ ანადგურებენ ჩემს პაპიროსს!“ ვანოს მიეპარა და კისერში ისე ღონივრად წაარტყა, რომ ვანოს პაპიროსი პირიდან გაუვარდა. შეშინებულმა უკან მიიხედა. ვანოს ამხანაგები დაფრთხნენ და გაიქცნენ.

— მოიცა, დედას ვუთხრა, პაპიროსს რომ ექაჩები,—უთხრა გაბრაზებულმა ვანომ.

ერეკლემ საყელოში ხელი ჩაავლო.

— წამომყევ დედასთან, პაპიროსს ვინც ეწევა, ახლავე დაგიმტკიცებ!

ვანო გაუძალიანდა, ტირილი მოართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მითხარი, კიდევ მომპარავ პაპიროსს?

— არა, — ტირილით უპასუხა ვანომ.

— დედას ეტყვი, პაპიროსი რომ ნახე?

— არ ვეტყვი.

— გაეთრიე, მეტი აქ არ გნახო, თორემ ვაი შენს ტყავს!

ჯანელიძის ოჯახში ზეიმი იყო. ომიდან დაბრუნებულ მიხას ერეკლე და ვანო მუხლებზე ესვა. დიასახლისი ღვინით და ხაჭაპურით უმასპინძლდებოდა სტუმრებს.

ერეკლემ სახლი დასტოვა. მალე დაბრუნდა და პაპიროსით სავსე კოლოფები მამას მიართვა. მიხას გაეღიმა.

— საიდან, შვილო?

ერეკლემ პასუხი არ გასცა და ოთახიდან ისევ გავიდა.

ოთახში ორი ახალი ყავარჯენი შეათრია. უცებ დაიბნა და გაჩერდა. მამას ორთავე ფეხი ჯანმრთელი ჰქონდა. მიხას ძმა ლავრენტი რომ უფეხო დაბრუნდა, ერეკლემ გადასწყვიტა — მამასაც ცალი ფეხი არ ექნებაო. ამიტომ გააკეთებინა ყავარჯენი და სხვენზე შეინახა.

— ეს ბიძია ლავრენტის, — უცებ მოისაზრა ბავშვმა და მაგიდის თავში მჯდარ თამადას — ბიძია ლავრენტის გაუწოდა ყავარჯენი.

ლავრენტიმ ხელში აიტაცა ერეკლე და ორივე ლოყაზე აკოცა.

ანდრო ლომიძე

„მიხვედრილი" პატარა თამარი

(გადმოკეთებული რუსულიდან)

ჩვენს მეზობელს ერთი პატარა ლამაზი გოგონა ჰყავს, რომელსაც თამარს ეძახიან. მას ძალიან უყვარს სეირნობა.

ერთხელ იგი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იცქირებოდა. მოისურვა გასეირნება. ამ დროს დედა ოთახში შემოვიდა და თამარი მისკენ გაექანა, კალთაში ხელი ჩაავლო და შეეხვეწა:

— დედა, ჩემო დედიკო, წამიყვანე სასეირნოდ!

დედამ მიუალერსა თავის პატარა გოგონას და უთხრა:

— არა, გენაცვალე, დღეს არ შემიძლია, სიცივეა, ქარი ქრის. ხედავ როგორ ირხევიან ხის ტოტები!

მოიწყინა თამარმა, გაიხედა ფანჯარაში და დედას უთხრა:

— დედა, უნდა მოვჭრათ ხე, უსათუოდ უნდა მოვჭრათ!

დედამ გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— რატომ, გენაცვალე?

— იმიტომ, რომ ხის ტოტები აღარ დაირხევიან და ჩვენც წავალთ სასეირნოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარი და ბაჭია

დედამ პატარა ოთარი ფანჯრიდან გაახედა და უთხრა:

— შეხედე, ოთარი, რა ლამაზია დათოვლილი მთები და ჩამავალი მზისაგან აფერადებული ცა! დაუკვირდი, შვილო, რა ლამაზი ფერებია. აი, მთის ზემოდ ცა იისფერია, ქვემოდ—ენძელის ფერი. ია და ენძელა, შენ იცი, რომ გაზაფხულის მახაროობელი ყვავილებია. აი, შეხედე კიდევ, სულ ქვემოდ ცას სტაფილოს ფერი აქვს, შენს კურდღელს რომ სტაფილო უყვარს, სწორედ იმის ფერი.

ცოტა ხნის შემდეგ ოთარიმ ჩახუტებული ბაჭია ფანჯარასთან მიიყვანა, ცისკენ მიახედა და ჩასჩურჩულა:

— აი შეხედე, ბაჭი, რა ლამაზია ცა. იცი ის რა ფერია? — და უთითებდა ცის დასავალზე. — ხომ ხედავ? ის არის სტაფილოს ფერი, შენ რომ სტაფილო გიყვარს, სწორედ იმის ფერი. შეხედე, შეხედე გენაცვალე, კარგად დაისწავლე, თუ გინდა, რომ უფრო მიყვარდე და გალიიდან ხშირად გამოგიყვანო ხოლმე.

ე. ჩაკალიდი

სამახსოვრო სიტყვა

ვაჟმა დედას უხეში სიტყვა უთხრა, — შემდეგ პატიება სთხოვა და ეს კი დაივიწყა.

გავიდნენ დღეები. ბრუნდება ერთხელ იგი სკოლიდან, დედა კი სტირის.

— რატომ, დედა?

— მომაგონდა, შენ რომ მაწყენინე!

— მე ხომ პატიება გთხოვე! — გაიკვირვა ბიჭმა.

— და მეც გაპატიე, — გაიღიმა დედამ.

გავიდნენ წლები. გაიზარდა ვაჟი. ცოლი შეირთო, მიიყვანა დედასთან თავისი პატარა ბიჭუნა.

ჰკოცნის დედა შვილს, თავზე ხელს უსვამს და თვალზე კი ცრემლს იწმენდს.

— მომაგონდა ერთი უხეში სიტყვა...

— მე ხომ მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი! — უპასუხა შვილმა.

და ისევ გავიდნენ წლები.

გარდაიცვალა დედა, მოხუცდა მისი შვილი, გაუთეთრდა წვერი, მხრებში მოიხარა.

ბევრი ნახა მან ქვეყანაზე სხვადასხვა ადამიანები, ბევრი იმოგზაურა უცხო ქვეყნებში. დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში და დედის საფლავზე მივიდა. აიღო ერთი მუჭა მიწა, მიიდო სახეზე და ატირდა:

— მაპატიე დედა, ის უხეში სიტყვა, რომელიც მაშინ გითხარ, როცა პატარა ბიჭი ვიყავი.

ვ. ოსეევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულება ფრთიან ყვავილებზე

მინდორში ხალისიანი
აპრილი როცა მოვიდა,
ერთი ბაია გამოჩნდა,
თავს უმშვენებდა ორი ფრთა.
ნიავმა ველებს აცნობა
ასეთ ყვავილის გაჩენა.
ყველა მცენარე ნატრობდა:
„ნეტავი ერთხელ მაჩვენა“.
ყველას უნდოდა, რომ ჯერი
რგებოდა მისი დანახვის:
ნახვას ლამობდა სამყურა,
მთისა და მინდვრის ბალახიც.
უკვირდა, ყველას უკვირდა
ასეთ ყვავილის გაჩენა,
ნატრობდა ნაზი პირიმზე:
„ნეტავი ერთხელ მაჩვენა“.
ეს საკვირველი ამბავი
შეიტყო ყველა ბალახმა.
ყაყაჩოც გულით ნატრობდა:
„ნეტავი ერთხელ მანახვა“.
ეს უცნაური ბაია
საამოდ ამოფოფინდა,
ნიავით უფარფატებდა
აპრელებული ორი ფრთა.
სულ მარტო იდგა ობოლი,
ფრთები ვერსაით დამალა.
უცებ მის ირგვლივ გამოჩნდა
მსგავს ყვავილების ამალა.
შეიქმნა დიდი ოჯახი,
თითოს ორ-ორი ფრთა დაჰყვა;
ყველა მცენარეს უნდოდა
საკვირველების დანახვა.

როდესაც დილის ნიავი
მოედებოდა მიდამოს,
სუყველა ამას შესთხოვდა:
ბაიას ნახვა გვინდაო.
ამას ჩიოდა: პირიმზე,
ია, სამყურა, შროშანი.
„ის ორფრთიანი გვანახე,
შორს არი ჩვენგან, შორს არი“...
ამდენი ხვეწნა-მუდარა
ერთ დღეს ნიავსაც მოწყინდა,
ჩამოუქროლა ბაიებს
და ყველას ფრთები მოსწყვიტა.
მოსწყვიტა, ააფარფატა
ლამაზი ფრთები პატარა,
ყოველ ყვავილთან და ყოველ
ბალახთან შემოატარა.
ფრთები მას შემდეგ ფრინავენ.
ხან ცვარს კოცნიან, ხან იებს,
ხან თავზე დაჰფარფატებენ
მინდვრად ამოსულ ყვავილებს,
და სიო როცა დაჰქროლებს,
სცვივათ პაწაწა ფერფლები.
ასე დაჰბადა ნიავმა
ფრთა-მოხატული პეპლები.

ოთარ ჭელიძე

ნახატი: რობერტ სტურუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ჯოლსჯოი

ი ბ ა ვ ე ბ ი

1. მამა და შვიღები

მამა შვილებს არიგებდა თანხმობით ეცხოვრათ; ისინი არ ეშორჩილებოდნენ. ერთხელ მათ ცოცხი მოატანინა და სთქვა:

„გასტეხეთო!“

ბევრი ეწვალნენ, მაგრამ ვერ შესძლეს. მაშინ მამამ ცოცხი გახსნა და ბრძანა ღერო-ღეროდ გაეტეხნათ. მათ დაამტვრიეს.

„ასევე ხართ თქვენც: თუ თანხმობით იცხოვრებთ, ვერავინ დაგძლევთ; თუ იშუღლებთ და ცალ-ცალკე იქნებით, ყველა ადვილად მოგერევათო“.

2. ყვავი და მტრედები

ყვავმა დაინახა, მტრედებს კარგად კვებავენო. თეთრი საღებავი წაისვა და სამტრედეში შეფრინდა. მტრედებს ჯერ ეგონათ, ჩვენიანი მსგავსი მტრედიაო, და შეუშვეს. მაგრამ ყვავს ადარ მოაგონდა თავისი ყვავობა და ჩხავილი მორთო. მაშინ მტრედებმა ჩაუნისკარტეს და გააძევეს. ყვავი თავისიანებთან მიფრინდა, მაგრამ ყვავებს შეეშინდათ, რადგან თეთრი იყო, და იმათაც გააძევეს.

სთარგმნა ნ. აგიაშვილმა
ნახატები კ. ჭანკვეტაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია

ზამთარმა გადაიარა,
ცაში ცხრათვალა მზეა,
მარტო ემნელა კი-არა,
უკვე აეკავდა ია.
ღობისძირებში ყვავილებს
აგროვებს ჩემი მზია...

ახარებს ოქროს მინდები,
ბუჩქთან დამჯდარი ზიზილა,
ნაკადული რომ უმღერის,
გადაქცეული სიცილად...

აქვეა დინჯი ბედიკოც—
დიდი ვაჟკაცის იერით,
ნამცეცა მზიას არიგებს,
როგორც ბრძენი და ხნიერი:
— ნუ სწუვეტ, აცალე, იხარონ
ზიზილებმა და იებმა,
მათი სიცოცხლის მოსპობა
ბავშვებს არ გვეპატიება!

ვიორგი შაგბერაშვილი

პაწია ყვავილი

სულ პაწია ყვავილი,
სულ პაწაწა იაა,
გული გადაუშლია,
ყველასათვის ღიაა!
უცოდველი, ფაქიზი,
ლამაზი და კარგია!
ენძელა ჰყავს მეგობრად,
ვარდი არას არგია.
წვიმის წვეთი დაეცა,
თავი დაბლა დახარა:

„ნიაღვარი მოსულა!“ —
ფოთლებს თავი აფარა.
მინდვრის გრილი ნიავი
იას თავზე ევლება:
„ხალხნო, ქარიშხალია,
ვაი, რა მეშველება!“
სულ პაწია ყვავილი,
სულ პაწაწა იაა,
გული გადაუშლია,
ყველასათვის ღიაა.

ნინო ფარქოსაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდების ამბავი

(რუსული ხალხური ზღაპარი)

ტყეში ხმა გავარდა;—ყველა ნადირს კუდები დაურიგდებათო. გაფრინდნენ თეთრგვერდა კაჭკაჭები ტყეებსა, მინდვრებსა და ჭალებში და ყველას აუწყეს:

— მოდით, ნადირნო, მოდით ხვალ დიდ მინდორზე კუდების მისაღებადო.

აღელდნენ მხეცები: „კუდები? რა კუდები? რად გვინდა კუდები?“ მაშინ მელამ სთქვა:—თუ რად გვინდა კუდები, მერე გავარჩიოთ, ახლა კი რა-კი იძლევიან, უნდა ავიღოთ.

დილიდანვე გაემართნენ მხეცები დიდი მინდვრისაკენ: ზოგი სირბილით, ზოგი ხტუნვით, ზოგი ფრენით—ყველას უნდოდა კუდის მიღება.

კურდღელიც მოემზადა წასასვლელად, გამოჰყო თავი სოროდან, მაგრამ დაინახა, რომ ძლიერ წვიმდა, შხეფი ზედ პირისახეში სცემდა. შეეშინდა კურდღელს: „მომკლავს ეს წვიმაო“, და დაიმალა სოროში. იჯდა იგი სოროში და მოესმა: „დგაბ-დგუბ, დგაბ-დგუბ!“—მიწა ზანზარებდა,—ხეებს ტაცა-ტაცი გაქონდათ. დათვი მობაჯბაჯებდა.

— ჩემო ბაბუა დათვო, — შეეხვეწა კურდღელი,—იქ კუდებს რომ დაარიგებენ, წამოიღე ჩემთვისაც, გეთაყვა, ერთი პატარა კუდიო.

— კეთილი,—უთხრა დათვმა,—თუ არ დამავიწყდა, წამოგიღებ!

წავიდა დათვი, კურდღელი კი ჩაფიქრდა: „ბებერია დათვი. ვაი თუ დაავიწყდეს. კიდევ ვისმეს უნდა დავავალოო“.

ამ დროს მოესმა: „ტკაპ-ტკუპ-ტკაპ!“—მგელი მონძუნძულებდა.

გამოჰყო სოროდან თავი კურდღელმა და უთხრა:

ჩემო ძია მგელო, შენ რომ კუდს მიიღებ, ჩემთვისაც შეარჩიე რომელიმეო.

—კეთილი, — უთხრა მგელმა, — მოგიტან, თუ დარჩა!— და წაძუნძულდა.

იჯდა კურდღელი სოროში, მოესმა ბალახის შრიალი — მელია მონცუნცულებდა.

„ამასაც უნდა ვთხოვოო“! — გაიფიქრა კურდღელმა.

— ჩემო დაიკო მელუკა, შენთვის ხომ კუდი უნდა აიღო, მომიტანე მეც ერთი პაწია კუდიო.

— კეთილი,—უთხრა მელიამ,—შენც მოგიტან, ჩემო რუხავ, პაწია კუდს,—და გაჰკურცხლა.

დიდძალი ნადირი შეიყარა მინდორზე!

იქ კი დიდ შტოებზე კუდები ეკიდა; მერე როგორი კუდები, იცით? რანაირიც კი უნდოდა სულსა და გულს: სქელბეწვიანი, მარაოსავით გადაშლილი, ცოცხისებური, ჯოხივით სწორი და გლუვი, მოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარახჭინებული, კულულების მსგავსი, გრძელი, მოკლე—ერთი სიტყვით სულ ნაირ-ნაირი.

მელა პირველი მიცუნცულდა, ამოირჩია ბეწვიანი, რბილი კუდი და კმაყოფილი გაბრუნდა შინისაკენ. ატრიალებდა ამ კუდს და მისი მზერით ტკბებოდა.

ცხენმა მოირბინა, ამოირჩია კუდი გრძელი ძუით. აი ეს იყო მართლა კუდი! მოიქნია—და თვით ყურებამდე მიწვდა.

—კარგია ბუზების მოსაგერიებლად! — თქვა ცხენმა და კმაყოფილი იყო.

მოვიდა ძროხა, მას ერგო ჯოხივით გრძელი კუდი, რაღაც ცოცხივით ჰქონდა მიბმული. კმაყოფილი დარჩა ძროხა, გვერდებზე მიიტყაპუნა, ბუზანკალი მოიგერია.

თრითინა ყველას თავზე გადაახტა, ყველას ზურგზე გადაურბინა, მოიტაცა ბეწვიანი, ლამაზი კუდი და მოჰკურცხლა.

სპილო ერთ ადგილზე ტოკავდა, ყველას თათები დაუბეკნა, ჩლიქები დაუზერგნა. როდესაც კუდებამდე მიაღწია, თასმასავით კუდი შეხვდა, ჯაგრით ბოლოში. არ მოეწონა ასეთი კუდი სპილოს, მაგრამ რას გააწყობდა, უკეთესი აღარ იყო.

მოვიდა ღორიც. ის ხომ თავს ზევით ვერა სწევს, ამიტომ აიღო ისეთი კუდი, რომელიც უფრო დაბლა ეკიდა - ბაწარივით გლუკი იყო. პირველად არ მოეწონა ღორს ეს კუდი. შემდეგ მარყუჟად მოჰრიხა და ძალიან ლამაზი მოეჩვენა—ყველაზე უკეთესიაო!

დათვმა დაიგვიანა,—სულმა წაძლია და გზაში საფუტკრესაკენ გადაუხვია,—მოვიდა, მაგრამ კუდები სადღა იყო! იპოვა რაღაც ტყავის ნაგლეჯი ბალნით შემოსილი და წაიღო—კუდიაო; კიდევ კარგი, რომ შავი იყო!

ასე სულერთიანად გაინაწილეს ნადირებმა კუდები და წავიდნენ თავთავიანთ სახლებში.

კურდღელი იჯდა თავის სოროში და ელოდებოდა, როდის მოუტანდნენ კუდს. ბოლოს მოესმა—დათვი მობაჯბაჯებდა.

— ჩემო ბაბუა დათვო, მომიტანე კუდი?

— რის კუდი! მე ჩემთვის, ხომ ხედავ რაღაც ტყავის ნაგლეჯი ძლივს ვიშოვეო, —სთქვა დათვმა და წავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოესმა კურდღელს, მგელი მოძუნძულებდა.

— ძია მგელო, მომიტანე კუდი?

— შენთვის მეცალა, ელამთვალა? ჩემთვის ძლივს ამოვირჩიე მომსხო და რაც კი შეიძლებოდა ბეწვიანი კუდი, — სთქვა მგელმა და გაუდგა თავის გზას.

გამოჩნდა მელია.

— დაიკო მელუკა, მომიტანე კუდი? — შეეკითხა კურდღელი.

— დამავიწყდა, — უთხრა მელამ. — აი, შეხედე, ჩემთვის როგორი ამოვირჩიე. —

და დაიწყო მელამ თავისი კუდის აქეთ-იქით ტრიალი. გული დაწყდა კურდღელს! კინალამ ატირდა. უცბად მოესმა ხმაური, ყეფა, კატის ფხუკუნი! გაიხედა — კატა და ძაღლი დაობდნენ, რომელს უკეთესი კუდი აქვსო. იდავეს, იდავეს და ბოლოს ჩხუბი მოუვიდათ. ძაღლმა კატას კუდი მოაკვნიტა. კურდღელი მივარდა კუდის ნაგლეჯს, მიიწება როგორც კუდი და კმაყოფილი დარჩა — თუმცა პაწია იყო, მაგრამ, რა უშავს, ხომ მაინც კუდიაო!

სთარგმნა **შ. გვინჩიძემ**

ნახატები **ო. მამაის**

ლელა

თამაშის დროს, გუშინ ფისომ
კლანჭის გაკვრა გამიბედა,
ამატირა, — მაგრამ უცებ
საიდანღაც გაჩნდა დედა.

გამისინჯა ფრთხილად ხელი,
შემიხვია, არ გამიწყრა,
ფისოს ძლიერ გაუჯავრდა
და ტკივილი დამავიწყა.

ახალ კაბით მომრთო კოხტად,
გამეხარდა, დავკარ ტაში;
მე და ჩემი დედოფალა
გვასეირნა ერთად ბაღში.

ღამით მელას ოინებზე
მესაუბრა დედა დიდხანს.
ფართო წიგნიც გამიშალა
და ლექსები წამაკითხა.

დავწექ, დედა დამესიზმრა:
მიხატავდა მზეს და ბაღნარს,
ფრთა შემასხა და ჩიტივით
ამაფრინა უცებ მაღლა.

მუდამ თავზე დამტრიალებს,
ჩემზე ფიქრობს შინ და გარედ, —
და მეც ჩემი კარგი სწავლით
დედას მუდამ გავახარებ.

გიორგი ქაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხერხებული ყმა

(ბატონყმობის დროინდელი ამბავი)

ბატონს ვაჟი შეეძინა. ყმები ულოცავდნენ და, ვისაც რა შეეძლო, ძღვენსაც მიართმევდნენ. ეს სავალდებულო იყო ყმებისათვის.

ერთი გლეხი ხელცარიელი მივიდა ბატონთან, გულთბილად მიულოცა და ბოდიში მოიხადა:

— თქვენი საკადრისი არაფერი აღმომაჩნდა, რომ მომერთმიაო.

მიხვდა ბატონი, რომ გლეხი ბეგარას გაურბოდა და გაუჯავრდა:

— განა შენი მოტანილი ძღვენი გამამდიდრებდა? მაგრამ ამით კეთილი გულსა და ერთგულებას მაჩვენებდიო! ახლა წადი, მიპატივებია, მაგრამ ხვალ დილით, მზის ამოსვლამდე გამოცხადდი ჩემთან და, თუ სახლში არაფერი გაქვს, გზაში რაც ნახო, წამოიღე და მომიტანეო!

გაბრუნდა გლეხი ჩაფიქრებული. სწუხდა, რომ ბატონი ეშმაკობას ბიუხვდა და მძიმე სასჯელი დაადო. გზად რიყეზე უნდა გაევლო, — სხვა გზა არ იყო, იქ ქვებს დაინახავდა, ისინი უნდა აეკრიფა და ბატონის სასახლეში მიეტანა. სირცხვილს როგორ გაუძლოს, რომ ბატონმა აჯობა მოხერხებით!

მეორე დილას გლეხი ისევ ხელცარიელი გამოცხადდა ბატონთან და შეფიცა: — გზაში არაფერი დამინახავსო.

— რიყეზე ქვები არ დაგინახავსო — უყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ბატონმა.

— სულ მზის ამოსვლას მივჩერებოდი, ბატონო, რომ არ ამოესწრო და მთელი გზა ისე გამოვირბინე — მეტი არაფერი შემინიშნავსო.

მოეწონა ბატონს გლეხის ასეთი მოხერხება, აპატია და სიცილით სთქვა:

— ამის შემდეგ იტყვიან: თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, ქვას არ დაინახავსო.

პარმენ ჯანიშვილი

ნახატები გ. **ფოცხიშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეზო-ბიჭი

მურაბაზე უფრო ტკბილი,
ვაშლზე ტკბილი, თაფლზე ტკბილი;
შაქარი და კვერცხის გული
საგანგებოდ გათქვეფილი,—
ნანინაზე, და ბებიკოს
ზღაპარზედაც უფრო ტკბილი;
გოგლი-მოგლი გამიკეთა
დედიკონამ გუშინ დილით...

აი, ახლაც ტოლ-ბიჭებში
დავიღალე და შინ მოვქრი,
სარკმელთან კი,—კვლავ ნაცნობი
გოგლი-მოგლი...
გოგლი-მოგლი...
კმარა ჩემო დედიკონა,—
ალბად მკლავი მოგეღალა,
ალბად ბებოც ჰვალს უჩივის—
რა ჰქნას, ველარ მოგეხმარა...
მალე დიდი გავიზრდები,
დიდი, როგორც ჩემი მამა
და არასდროს დავივიწყებ,
დედიკონა, მე შენს ამაგს.
ო, ძვირფასო, რას არ გაქმევ,
დაგახურავ და ჩაგაცმევ,
შეგიკერავ ახალ კაბას
და გიყიდი კოხტა ბაჩებს.
სამსახურში წავალ დილით,—
შენ თვალს ტკბილად გამაყოლებ,—
საღამოჟამს კი ავტოთი
თეატრისკენ გაგაქროლებ!

მურმან ლებანიძე
ნახატები **რ. სტურუასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინდაურო, ფაფხურა!

ინდაურო, ფაფხურა,
თავზე ქუდი არ გხურავს,
გაგიბერავს ჩინჩახვი,
„ეურლუმ-ბურლუმს“ იძახი?
ინდაურო, ფაფხურა,
თავზე ქუდი არ გხურავს;
როგორ დინჯად აბიჯებ,
ხომ არ ზომავ ნაბიჯებს?!
ინდაურო, ფაფხურა,
თავზე ქუდი არ გხურავს;
ხომ არ არის მარაო,
ბოლო რომ გაიშლია?!
ფართი-ფურთი, ფაფხური
რატომ ვერ მოგიშლია!
ინდაურო, ფაფხურა,
თავზე ქუდი არ გხურავს,
დგახარ ცაცხვის ძირშია,
ცხვირი ჩამოგიშვია;
დაგიბურებ მაგ ჭუკებს,
ოღონდ ერთს თუ მაჩუქებ!

ილია სიხარულიძე

ნახატი ნ. იანქოშვილისა

სახუმარო კითხვა

იგი თურმე რაღაც არის,
მაინც თვლიან არაფერად.
ხან დიდია, ხან პატარა,
ხანაც არის ვებერთელა.
მზიან დღეში, მზიან დარში
თან დაგყვებათ იგი მუდამ,
ხან გრძელია, ხანაც მოკლე,
ხანაც არის აყლაყუდა.
თუ თამაშობთ, თქვენთან არის,
მე ვერ გეტყვით, თუ რა ჰქვია,
გაიხსენეთ, ამ თანამგზავრს
ხალხში თუ რას ეძახიან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაკვირვება ცხოველებზე

ცხოველთა შორის ძაღლი ადამიანის უძველესი მეგობარია, მისი კარ-მიდამოს ერთგული დარაჯი და მშვენიერი თანაშემწე ნადირობაში.

მინდა მოგითხროთ რამდენიმე საინტერესო შემთხვევა ძაღლების ცხოვრებიდან. შეიძლება თქვენც დაინტერესდეთ და მოისურვოთ ცხოველებზე დაკვირვება.

აბა დამიგდეთ ყური:

ზამთარი იყო. ერთ გლეხს თავის ერთგულ ძაღლთან ერთად მოუხდა გადასვლა ახალ გაყინულ მდინარეზე. როდესაც შუა მდინარეს მიაღწია, ყინული ჩატყდა და გლეხი ყინულებს შუა გაჩენილ ნაპრალში ჩავარდა. ის არ დაიბნა, თოფი ნაპრალის ნაპირებზე გადო და თვითონ ზედ დაეყრდნო. გლეხი ცდილობდა ამოსულიყო, მაგრამ მისი ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ძაღლი დარბოდა პატრონის გარშემო და სურდა როგორმე ეშველა მისთვის. როდესაც დარწმუნდა, რომ საკუთარი ღონით ამას ვერ შესძლებდა, გაიქცა მახლობელ სოფლისაკენ. გზად ვიღაც მგზავრს შეხვდა, გადაეღობა წინ და ფარაჯის კალთების წევა დაუწყო. წკმუტუნებდა და ათასნაირად ცდილობდა, მიეხვედრებინა, რომ შველა იყო საჭირო.

მგზავრი გაჰყვა ძაღლს. მან, მართლაც, დროზე მიუსწრო საწყალ გლეხს და გადაარჩინა უეჭველ დაღუპვისაგან.

ბ. ქართველიშვილი

ნახ. ი. დივნოგორცევისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღურაბი

გაიღვიძებს დილით ადრე,
ახამხამებს ლამაზ თვალებს,
შემდეგ დედას უმიზეზოდ
რამე საქმეს დაავალებს.

ზღაპრის წიგნებს გადაფურცლავს,
ჩაჰყურებს და ეღიმება, —
მელაკუდას თვალს რომ მოჰკრავს,
გულს სიამე ეფინება.

წაიკითხოს?.. მაგრამ როგორ?..
წერა-კითხვა ჯერ არ იცის.

სანამ ზღაპარს უამბობდეთ,
ვერ მოითმენს, არ დაიცდის.

შემოხაზავს გრძელ წრეს ფანქრით,
მოუსვენარს ხატვაც უნდა, —
და მაგიდას დაყრდნობილი
ვითომ ხატავს მელა-კუდას.

შემდეგ, როცა მოწყინდება,
მოუნდება ვაშლი, თხილი...
ის საბავშვო ბაღში მარდად
მიცუნცულებს ყოველ დილით.

ილია ხოშვარია

მამალი კრუხი

— კრუხ, კრუხ! — დაიკრუხუნა კრუხმა და საქათმედან ფრთებაფხორილი გამოვიდა. უკან წიავ-წიავით ახლად დაჩეკილი, ოქროსფერი ბუმბლიანი წაწილები მოსდევდნენ. შორს არ წასულან, იქვე მწვანე მოლზე გაიშალნენ. კრუხმა ბალახებს ჩახედა, რალაც მარცვალი იპოვნა და, თავისებური ქორქოლით, შვილებს დაუძახა. მარცვალი ნისკარტით აიღო და მასთან თავშეყრილ წიწილებს წინ დაუგდო. სათითაოდ ყველა წიწილამ დაჭკრა მარცვალს ნისკარტი, მაგრამ ვერცერთმა ვერ შესძლო მისი გადაყლაპვა.

დიდ ფაცა-ფუცში იყვნენ.

მოულოდნელად მაღლიდან ქორი დაეშვა. წიწილები დაფრთხნენ. კრუხი არ დაიბნა. სწრაფად ფრთები გაშალა და ქორს მივარდა, საშუალება არ მისცა, წიწილა რომ მოეტაცებინა. გაბრაზდა ქორი და კრუხს შეუტია.

გაიმართა ბრძოლა. კრუხი და ქორი ნისკარტებით დაუზოგავად სცემდნენ ერთმანეთს...ვინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა ეს ბრძოლა, ლობესთან შეშფოთებული მამალი რომ არ აქორქოლებულიყო. მან კისერი წინ წაიგრძელა და კრუხის მისაშველებლად გაიქცა. ქორმა განრისხებული მამალი რომ დაინახა, შეეშინდა, ბრძოლას თავი ანება და გაფრინდა...მაგრამ უცებ იქვე ხის ტოტებში გაიხლართა.

თურმე კრუხს თვალი ამოეთხარა მისთვის და ფრენა გაუძნელდა.

კრუხმა გამარჯვებულის სიამაყით გარემოს გადახედა, ფიჩხებში მიბალულ წიწილებს დაუძახა. გამხნევებული წიწილები, როცა დედასთან მოგროვდნენ, კრუხი წინ გაუძღვა მათ და კვლავ საკენკის ძებნას შეუდგა.

ბ. ლალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროს დაგადება

ახალი გაზაფხული იყო. მთაზე თოვლი დნებოდა. მთის კალთები და ველები მწვანით იმოსებოდა, შევცქეროდი გარემოს და ვსტკბებოდი მისი სიმშვენიერით.

უცებ გუგუნი მომესმა, მიწა შეირყა. შემეშინდა. ჩემს წინ აღმართულ კლდეს შევხედე· კლდე გაბზარულიყო. თავქვე მიჰყვებოდა ნაპრალი.· შიგნიდან ორთქლი გამოვარდა, თითქოს ამოისუნთქაო. შემდეგ ბროლივით ანკარა წყლის წვეთები გამოცვივდნენ. წვეთებს წვეთები მოემატა. დამძიმდნენ და თავქვე დაეშვნენ. ქვევით ათასგვარი ფერადი კენჭები დახვდათ. წყლის ანკარა ტალღის შეხებით კენჭები ახმაურდნენ, ამღერდნენ.

ეს იყო წყაროს პირველი ხმა—დაბადების სიმღერა.

წყაროს ტალღა თანდათან გაიზარდა, ხმა მოემატა და გზას დაუწყო ძებნა. ხან იქით ეცა, ხან აქეთ, დაიკლაკნა, ბოლოს გზა იპოვა და წავიდა.

— მთის წყარო დაიბადა, ლიკლიკა წყარო!—ამომძახა გულმა. მიხაროდა, რომ წყაროს დაბადების მნახველი ვიყავი.

ამოვიღე მათარა, ავავსე წყლით და პირველად მე დავლიე. სიხარული მომემატა, თითქოს დედა-მიწამ ძალა შემმატა.

ერთი თვის შემდეგ კვლავ ვინახულე მთის წყარო. იგი უფრო გაზრდილიყო. მის ირგვლივ ფერად-ფერადი ყვავილები გაშლილიყვნენ და ნაპირები საამურად ამწვანებოდა.

როსტომ საგითი.

ინგლისური ხალხური სიმღერა

მარტში ქარია,
აპრილში წვიმა,
მაისში ელოდე
ენძელას, იას!

რეგუსი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანოს თავგადასავალი



ვანომ გუშინ ზოოპარკში
დათვი ნახა ვეებერთელა,
1. გაუკვირდა და პატარამ
ჯოხით დათვი გააღელა.
შემდეგ ვანოს შეშინდა—
ეინ მოუსვა ნელა ნელა.

ეინ მივიდა დაქანცული
და ლოგინზე გაიშხლართა,
2. ძილში ვანოს დაესიზმრა:
გალიაში შეძვრა დათვთან.
დაფრთხა ვანო და შიშისგან
უცებ ქუდი გადუვარდა.

რა ქნას ვანომ, სად წავიდეს!
სად გაასწროს დათვის თათებს! —
3. რკინის რიკულს ეჯახება,
შიშისაგან დაბარბაცებს.
— ვაი, დედა, მომეშველე,
თორემ დათვი შემჭამს მალე.

წვალობს, წვალობს ჩვენი ვანო,
დათვს გაექცეს, იბრძვის, ლამობს.
4. თანაც ფიქრობს: ეს რა ვქენი—
დათვი რისთვის გავაბრაზე?!.
უჰ, გადურჩი დათვს,—და უცბათ
გაიშხლართა იატაკზე.

გამოცანები

1.

ზამთრის წასვლას ელოდება,
გაზაფხულის ნიავსა,
ყვავილების პატარძალი,
ეძახიან .....

2.

ტრიალებს, გრიალებს,
სახლს უვლის ირგვლივ.
ჭუჭრუტანაში შეიჭყიტება,
თვალს შეაბრიალებს
და შევა შიგნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21/38

გამომცემლობის № 48 სტამბის შეკვ. № 735 ტირაჟი 7000 უე 02627 ფასი 5 მაშ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კავშირის მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში.